ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას პირველი შესახვევი N6 საცხოვრებელი სახლის N37 ბინაზე, მოქალაქე ელგუჯა მელქაძისათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ზვიად გამსახურდიას პირველი შესახვევი N6 საცხოვრებელი სახლის N37 ბინაში მცხოვრები მოქალაქე ელგუჯა მელქაძის განცხადება /2012 წლის 05.09 Nმ–7481/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ბინაზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას პირველი შესახვევი N6 საცხოვრებელი სახლის N37 ბინა/, საკუთრების უფლების მოწმობის გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, $65^2$ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას პირველი შესახვევი N6 საცხოვრებელი სახლის N37 ბინაზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ელგუჯა მელქაძეს.
2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ზვიად გამსახურდიას პირველი შესახვევი N6 საცხოვრებელი სახლის N37 ბინაზე /საერთო ფართობი 27,00 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 27,00 კვ.მ, საზაფხულო ფართობი 1,35 კვ.მ./ მოქალაქე ელგუჯა მელქაძის სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.
3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილე ნ.კაჭკაჭიშვილმა.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მერი ბ.ბრეგაძე